

AN INTERDISCIPLINARY STUDY OF THE TWO FRAGMENTED SCROLL
MANUSCRIPT
(H-1411, H-2064)

ორი ფრაგმენტული გრაგნილი ხელნაწერის (H-1411, H-2064)
ინტერდისციპლინური კვლევისთვის

Nino Megeneishvili

Doctor of Philology,

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi, Merab Aleksidze str, N1/3, 3093, Georgia,

+995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com

<https://orcid.org/0000-0001-5985-9117>

Shorena Tavadze

PhD, Restaurateur,

Ap. Kutateladze Tbilisi State Academy of Fine Art,

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. Tbilisi, Georgia,

+995 595 635544, tavadze@hotmail.com.

<https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

Abstract. A new complex field of manuscript studies - fragmentology - represents one of the important movements in modern codicology, which creates the basis for a comprehensive study of fragmentary manuscripts, their identification, their relationship to the originating culture, the preparation of a detailed archaeological description, and the determination of the conditions for their protection and preventive conservation. Interdisciplinary study of fragmentary manuscripts involves the systematization of information and the identification of all related components. The manuscript heritage has preserved a large number of fragmentary manuscripts, covering a extensive chronological period, and manuscripts that are interesting in terms of thematic and material. Of the diverse and rich heritage preserved in the Georgian manuscript repository Korneli Kekelidze of the National Manuscripts Center of Georgia, only a part has been fully studied and published, including less studied fragmentary manuscripts. Moreover, most of them are unknown even to professional circles and are not in scientific circulation.

The aim of the research is a multidisciplinary study of Georgian manuscript fragments, H-1411, H-2064, preserved Korneli Kekelidze at the Georgian National Manuscript Center: Textological-codicological research, archeographic description, indication of palaeographic features, description of artistic value, diagnosis of the structure of the manuscript material, develop protection conditions and integrate existing material into international scientific circulation.

Keywords: Kontakion, Manuscripts, Scroll, Codicology, Structure.

ნინო მეგენეიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
თბილისი, ალექსიძის 1/3, 0193, საქართველო,
+995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-5985-9117>

შორენა თავაძე

დოქტორანტი, რესტავრატორი,
მეცნიერი თანამშრომელი,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
თბილისი, ალექსიძის 1/3, 0193, საქართველო,
+995 595 635544, tavadze@hotmail.com
<https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

აბსტრაქტი. ხელნაწერთა ინტერდისციპლინური კვლევა საშუალებას იძლევა, შინაარსისა და გამოსახულებების პარალელურად ხელნაწერ წიგნში გამოვავლინოთ უფრო ფართო დიაპაზონი, შედარებით ნაკლებად ცხადი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ხელნაწერთა კვლევა მოიცავს სრული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და მასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტის განსაზღვრას. ხელნაწერმა მემკვიდრეობამ შემოინახა ფრაგმენტული ხელნაწერების დიდი რაოდენობა, რომელიც მოიცავს საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს, საერო და სასულიერო, თემატურად და მასალის თვალსაზრისით საინტერესო ხელნაწერებს.

კვლევის მიზანია კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერი ფრაგმენტების H-1411 და H-2065 მულტიდისციპლინური შესწავლა: ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევა, არქეოგრაფიული აღწერილობა, პალეოგრაფიული თავისებურებების აღნიშვნა, მხატვრული ღირებულების აღწერა, ხელნაწერი მასალის სტრუქტურის დიაგნოსტიკა, დაცვის პირობების შემუშავება და არსებული მასალის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში.

საკვანძო სიტყვები: კონდაკი, ხელნაწერები, გრაგნილი, კოდიკოლოგია, სტრუქტურა.

შესავალი. მწერლობა ერის ის კულტურული რესურსი, მონაპოვარი, უტყუარი ისტორიული მეხსიერებაა, რომელიც განსაკუთრებული სიზუსტით ასახავს კონკრეტული ეთნოსის იდენტობას, სულიერ ღირებულებებსა და გამორჩეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში. სწორედ ამიტომ ლიტერატურული თხზულებები არის როგორც მწერლობის ნაწილი, ასევე ერის ცნობიერი მემკვიდრეობა, სამყაროს აღქმის მეცნიერული საფუძვლები, ისტორია.

ქართულ დამწერლობას მსოფლიოს ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ლინგვისტური მახასიათებლები, დამწერლობის განვითარების ეტაპები ქართველი ერის მაღალ ეთნოლინგვისტურ კულტურასა და მსოფლმეხველობაზე მიუთითებს. მდიდარია ქართული ლიტერატურული მეხსიერებაც. ის აერთიანებს როგორც წინარექრისტიანულ, მითოსურ თქმულებებს, ასევე ქრისტიანულ ლიტერატურულ ჟანრებს. სამწუხაროდ, მდიდარი ისტორიული წარსულის მიუხედავად, ქართული მწერლობის შემორჩენილი ძეგლები არ ემთხვევა მისი წარმოშობის სავარაუდო ეპოქას. საინტერესოა ის მოცემულობაც, რომ საქართველო თავისი მდებარეობით წარმოადგენდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინს, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მდიდარი კულტურისა და კულტურული ურთიერთობების არსებობას. პროფ. ნ. სულავა აღნიშნავს: „თანამედროვე მეცნიერული კვლევის დონეზე ქართული ლიტერატურის ადგილისა და როლის განსაზღვრა ორი მიმართულებითაა აუცილებელი: 1. რა ადგილი დაიკავა მან საკუთრივ ქართული ერის სულიერ, ინტელექტუალურ და ყოფით ცხოვრებაში; 2. რა ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, რასაც ორგვარი ინტერპრეტაცია სჭირდება: ა) რა შესძინა ქართულმა ლიტერატურამ მსოფლიო ლიტერატურას და ბ) რა შეიძინა თავად ქართულმა ლიტერატურამ მსოფლიო ლიტერატურიდან“ (სულავა, 2024: 7).

სტატიაში განხილულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ფრაგმენტული ხელნაწერი H-1411 (ჟამისწირვა, XIV-XV ს.ს.) და H-2064 (ჟამისწირვა, XVI-XVII ს.ს.). ხელნაწერები საინტერესოა როგორც თემატური, ასევე საწერი მასალის სტრუქტურის კვლევის თვალსაზრისით. ორივე ხელნაწერი ეტრატზე, გრაგნილის ფორმატზეა შესრულებული და არის იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ფრაგმენტი. ინტერდისციპლინური კვლევის თვალსაზრისით საინტერესო იყო სხვადასხვა საუკუნეებში გადაწერილი ორი ნუსხის რედაქციული და სტრუქტურული შედარება.

მეთოდი. საკვლევი მასალის ტექსტოლოგიური, კოდიკოლოგიური თავისებურებებისა და სტრუქტურული მრავალფეროვნების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ ხელნაწერის ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ და საწერი მასალის სტრუქტურული მახასიათებლების ინტერდისციპლინურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. ხელნაწერთა ინტერდისციპლინური კვლევა საშუალებას იძლევა, შინაარსისა და გამოსახულებების პარალელურად, ხელნაწერ წიგნში გამოვავლინოთ უფრო ფართო დიაპაზონი, შედარებით ნაკლებად ცხადი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ფრაგმენტულ ხელნაწერთა კვლევა მოიცავს სრული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და მასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტის განსაზღვრას (კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული, ტექსტოლოგიური, ფურცლის მხატვრული გაფორმების აღნუსხვა და საწერი მასალის სტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია). ხელნაწერმა მემკვიდრეობამ შემოინახა თემატურად, ქრონოლოგიურად და მასალის თვალსაზრისით საინტერესო ხელნაწერები. ხელნაწერთმცოდნეობის კომპლექსური დარგი, ფრაგმენტოლოგია, რომელიც სწავლობს ხელნაწერი ფრაგმენტის წარმოშობას, შედგენილობას, მის მიგრაციას, მასალასა და მასთან

დაკავშირებულ საკითხებს (ქაღალდი, ეტრათი, მელანი, დაცულობის მდგომარეობა, კონსერვაციის პირობების განსაზღვრა და სხვ.), მიმართებას უშუალოდ ხელნაწერთან და, ზოგადად, წარმომშობ კულტურასთან, წარმოადგენს თანამედროვე კოდიკოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. მეთოდების სიახლით, მრავალგვარობითა და მულტიდისციპლინური შინაარსით ამგვარი კვლევა შუა საუკუნეების ტექსტების რეკონსტრუქციის, უკეთ დაცვისა და კონსერვაციის საშუალებას იძლევა, უფრო ფართო თვალსაზრისით კი, ხელნაწერის მეტად სრულყოფილ შესწავლას უქმნის საფუძველს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა საცავში დაცული მრავალფეროვანი და მდიდარი ხელნაწერი მემკვიდრეობიდან სრულყოფილად შესწავლილი და გამოცემულია მხოლოდ ნაწილი. მათ შორისაა ნაკლებად შესწავლილი ფრაგმენტული ხელნაწერები. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა სამეცნიერო წრეებისთვისაც კი უცნობია და არ არის სამეცნიერო და აკადემიურ მიმოქცევაში. უმრავლეს შემთხვევაში მითითებულიც კი არ არის ბიბლიოგრაფიულ კრებულებსა და გამოყენებულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ფრაგმენტული ხელნაწერების წარმოშობას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა: მტრის შემოსევები, როცა ევაკუაციის დროს იკარგებოდა ხელნაწერის გარკვეული ფურცლები; არასათანადო შენახვის პირობები, რაც იწვევდა ხელნაწერი წიგნის კორპუსის დაშლასა და ფურცლების დაკარგვას. ხშირად დაზიანებულ ან პრაქტიკიდან გასული ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერებს იყენებდნენ მეორეულ მასალად და სხვ. ამ და სხვა მიზეზთა გამო ფრაგმენტული ხელნაწერები გაბნეულია სხვადასხვა ხელნაწერთა საცავში (გრაფი, ბერლინი, ლაიფციგი, კრაკოვი, ლონდონი და სხვ.).

სტატიაში განხილულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი გრაგნილის ფორმატზე დაცული ფრაგმენტული ხელნაწერი H-1411 და H-2064. გრაგნილი ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. იგი მზადდებოდა სხვადასხვა საწერი მასალის (ჭილის, ეტრათისა და ქაღალდის) გადაკერებული, შეწებებული ან მთლიანი ფორმატის ნაწილებისაგან, კეფებისაგან; საწერი მასალის განვითარებამ წარმოქმნა ფურცლებად აკინძული კოდექსი, წიგნის მთავარი ტიპი, თუმცა გრაგნილიც, როგორც ხელნაწერის ერთ-ერთი ფორმა, დარჩა მცირე მოცულობის სასულიერო თუ საერო დარგის, ასევე ისტორიული დოკუმენტების სხვადასხვა ტექსტებისათვის (სიგელები, შეწირულობის წიგნი და სხვა). გრაგნილი წიგნები ინახებოდა წაგრძელებულ მომრგვალებულ ბუდეებში. ისინი დახვეული იყო ჯოხზე, ე.წ. კონდაკზე, ან გვხვდებოდა ჯოხის გარეშე. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება ეტრათსა და ქაღალდზე (არც ერთი პაპირუსზე) შესრულებული გრაგნილი ხელნაწერები, რომლებიც თემატურად და სტრუქტურით საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს.

გრაგნილი ხელნაწერების უძველესი ნიმუში, რომელიც დღემდეა შემორჩენილი, IX საუკუნით თარიღდება, ხოლო ყველა დანარჩენი გრაგნილის ქრონოლოგიური ჩარჩო ემთხვევა საქართველოში მონღოლების შემოსევებით დაწყებულ კრიზისულ ეპოქებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამეცნიერო ცხოვრება, ლიტერატურული საქმიანობა, ხელნაწერი კულტურის შექმნა-გადარჩენა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური კრიზისის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად გრძელდებოდა. რადგან სახელმწიფოს საყრდენი იყო იდეოლოგია, რომელიც ცხადდებოდა და ჟღერდებოდა კულტურით, მათ შორის ლიტერატურით.

გრაგნილი ხელნაწერის უძველესი ფორმაა. საქართველოსა და უცხოეთის წიგნთსაცავებში დაცულია 102 ერთეული გრაგნილი ხელნაწერი. ყველაზე დიდი რაოდენობისაა ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ჟანრის თხზულება - ჟამისწირვა, რომელიც აღწერილობაში მითითებულია ორგვარად – კონდაკი და ჟამისწირვა. სტატიაში განხილული ხელნაწერები სწორედ ჟამისწირვის ფრაგმენტს შეიცავს, რომელიც აღწერილობაში აღწერულია როგორც კონდაკი. უნდა აღინიშნოს, კონდაკი (κοντάκιον)

ფუძემდებლად ღირსი რომანოზ ტკბილმაგლობელი ითვლება, რომელიც VI საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა. მოგვიანებით კონდაკის სტრუქტურა შეიცვალა, ლეგენდის თანახმად მას ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი შობის ღამეს, გრაგნილი გადასცა, რომანოზ მაგლობელმა საჩუქარი გადაჰყვამა, მეორე დილით კი ეკლესიაში ამბიონზე კონდაკის გალობა დაიწყო. კონდაკს უწოდებდნენ ჯოხზე, ე.წ. კონდაკზე (ბერძნულად κονტოც), დახვეულ ერთმანეთზე გადაკერებულ ფურცლებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხელნაწერ ფონდებში ინახება კოდექსის ფორმატის არაერთი კონდაკი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა წირვის წესსა და ღვთისმსახურების სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ ლოცვებს. X საუკუნეში შეიქმნა მდელმთავართათვის შექმნილი კრებული, ე.წ. „სამღვდელოთავრო კონდაკი“, რომელსაც არქიერატიკონს უწოდებდნენ. სულხან-საბა ორბელიანი კონდაკს შემდეგნაირად განმარტავს: „კონდაკი არის წიგნი წირვისა“. ცნობილია, რომ ქართულ სამწერლობო ტრადიციაში არსებობდა წირვის წესის რამდენიმე რედაქცია: 1. იერუსალიმური, ანუ იაკობის, მარკოზისა და პეტრეს ლიტურგია; 2. კონსტანტინოპოლური, ანუ ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვა; 3. დიდმარხვის, ანუ გრიგოლ დიალოღოსის ჟამისწირვა. გრაგნილი ფორმატის ხელნაწერ ფონდებში შემორჩენილი ჟამისწირვები და კონდაკი წარმოადგენს იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებს. კონდაკი ასევე არის მცირე ზომის საგალობელი, რომელშიც მოკლედაა აღწერილი ესა თუ ის დღესასწაული ან წმინდადის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის თხზულება გრაგნილი ფორმატის ხელნაწერებში არ გვხვდება.

სტატიაში განხილული ორივე ფრაგმენტი იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ფრაგმენტია. იოანე ოქროპირის ლიტურგია შედგება ორის ნაწილისგან: კათაკმეველთა და მართალთა ლიტურგია. კათაკმეველთა ლიტურგიის წინ იკითხება შესავალი ლოცვები და ტარდება სასულიერო პირთა შემოსვისა და კვეთის ლიტურგია. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლურმა რედაქციამ XII საუკუნის შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა, ამიტომ ახალ ნუსხებს ახალ კონსტანტინეპოლურ რედაქციას უწოდებენ, სადაც შეცვლილია რამდენიმე ლოცვა. H-2064 შეცავს კვერქსის ფრაგმენტს, ხოლო H-1411 - ზიარების შემდგომ ლიტურგიას. რთულია იმის განსაზღვრა, რამდენი კეფისგან შედგებოდა თითოეული ხელნაწერი. ფაქტია, შემორჩენილი ფრაგმენტები ბოლო კეფებია, რადგან H-2064 ხელნაწერზე კეფის ბოლოს, ტექსტისგან თავისუფალ ადგილზე შეინიშნება გრაგნილის დასახვევ ჯოხზე ეტრატის დასამაგრებელი ზიგზაგისებრი გვირისტის ნაკვალევი. კეფის დასაწყისში კი ნემსით გაკეთებული მეორე კეფზე გადაბმის კვალი, ხოლო H-1411-ის კეფის ბოლო ძაფით უხეშად მიკერებულია კარგად დამუშავებულ ხის ჯოხზე.

სტატიაში მოცემულია ე.წ. დიპლომატიური ტექსტი. დაცულია ხელნაწერის ენობრივი სტრუქტურაც და ტექსტის გადანაწილება სტრიქონების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებში არ არის დაცული ენობრივი ნორმები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აღწერილობებში მითითებულ თარიღს, რადგან როგორც ცნობილია, ქვეყნის კრიზისული პერიოდი აისახა ქართული ენის სტრუქტურაზეც. ასევე მოცემულია თითოეული ხელნაწერის კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული აღწერილობა.

დასკვნა. გრაგნილი ხელნაწერები (H-2064, H-1411) არ არის ფუნდამენტურად შესწავლილი, ისინი უცნობია სამეცნიერო წრეებისთვის. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერები დაზიანებულია, დაზიანებულ ნაწილებში ტექსტი დაკარგულია. შემორჩენილი ფრაგმენტული ტექსტები არ მისდევს ჟამისწირვის არც ერთ რედაქციას, ამიტომ დაზუსტებით რთული სათქმელია, რომელი ლიტურგიის ტექსტს შეიცავს ისინი.

საინტერესოა ისიც, რომ ფრაგმენტულ ხელნაწერებში რთულია არამარტო რაობის დადგენა, არამედ თარიღისაც. ხელნაწერების მულტიდისციპლინური შესწავლა -

ტექსტოლოგიური კვლევა, ლინგვისტური მახასიათებლებისა და პალეოგრაფიული თავისებურებების ანალიზი, ხელნაწერის საწერი მასალის აღწერა გვეხმარება ხელნაწერის თარიღის განსაზღვრაში.

საქართველო ადრექრისტიანული ქვეყანაა, სადაც პირველი საუკუნიდან ცხოვრობდნენ მისი მიმდევრები და, შესაბამისად, იქმნებოდა ქრისტიანული კულტურა, მათ შორის ლიტერატურული ნიმუშები. ფრაგმენტული ხელნაწერებზე, მათ შორის გრაგნილებზე, მუშაობამ გვიჩვენა, რომ ამგვარი ხელნაწერები მცირე მოცულობის მიუხედავად შეიცავს მდიდარ და საინტერესო ტექსტოლოგიურ მასალას, რომლის კვლევამ, გამოქვეყნებამ და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვამ შესაძლოა გამოავლინოს ჯერ კიდევ უცნობი ტექსტები ან სხვადასხვა თხზულებათა რედაქციული სახესხვაობა. ასევე ფრაგმენტული ხელნაწერების ფუნდამენტური, მულტიდისციპლინური შესწავლა უზრუნველყოფს ფრაგმენტების პრევენციულ კონსერვაციასა და შესაბამისი პირობების განსაზღვრას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

1. H-2064 კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული და საწერი მასალის სრქუტურული აღწერილობა:

თარიღი - XVI-XVII;

კეფის რაოდენობა - 1 კეფი;

კეფის ზომა 58x24 (აღწერილობაში მითითებულია -107x24);

სტრიქონთა რაოდენობა - r-69, v-66;

ნაწერის ზომა - 48,5x14;

არშიების ზომა: ზედა 0,2, ქვედა 6,5, მარცხენა 5სმ; მარჯვენა 5სმ;

მასალა - ეტრატი;

ძეგლის მდგომარეობა - თავბოლონაკლული;

ფერი - მოთეთრო;

სისქე- 004 მმ

ფორმატი -არასრული;

1.2. პალეოგრაფიული თავისებურებები

ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად არასიმეტრიულად; დამწერლობის სახეობა - ნუსხური; მელანი - ყავისფერი, სინგური; ნაწერის -მიმართულება გვერდზე - r-ს ქვედა v-ს ზედა ნაწილია; საზედაო ასოები -სინგურით;

I კეფი: გრაგნილი რესტავრირებულია, ფორმატი აღდგენილია; თავნაკლულია, ზედა მხარეს შეიმჩნევა სხვა კეფთან გადაბმის ნემსის ნახვრეტები. r მხარეს მელანი კარგ მდგომარეობაშია, ტექსტი იკითხება. კეფის v მხარეს ზედა ნაწილში ეტრატი გაშავებულია და 15 სტრიქონის ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია.

გრაგნილი შედგება ერთი კეფისგან, ამიტომ მისაღებია მისი გაშლილ მდგომარეობაში შენახვა.

სარესტავრაციო პასპორტი: ეტრატის ერთი კეფი, დახვეულია ძალიან წვრილად, ისე რომ მისი მეორე ნახევრის გაშლა შეუძლებელია მცირედი დატენიანების გარეშე. ეტრატი დაზიანებულია მექანიკურად. კეფის ზედა მარჯვენა მხარეს ეტრატის მოზრდილი ნაწილი ნაკლულია ტექსტთან ერთად. სავარაუდოდ, ეტრატის ნაკლული ადგილები დაზიანებულია მღრღნელების მიერ. კეფის ქვედა მხარეს ეტრატი დაზიანებულია ენტომოლოგიურად. კეფის ქვედა კიდეზე ეტრატის ჩახეული ადგილი გაკერილია ადრე, მისი დამუშავების დროს, ამჟამად გარღვეულია და ძაფის ნაკვალევია დარჩენილი. ეტრატის სინესტის ლაქების ადგილზე დეფორმირებულია. ტექსტის ნაწილზე მუქი ფერის ლაქია გათხაპნილი. ეტრატზე მცირე ზომის ცხიმის ლაქები შეინიშნება. კეფის ბოლოს, ტექსტისგან თავისუფალ ადგილზე შეინიშნება გრაგნილის დასახვევ ჯოხზე

ეტრატის დასამაგრებელი ზიგზაგისებრი გვირისტის ნაკვალევი. კეფის დასაწყისში კი ნემსით გაკეთებული მეორე კეფზე გადაბმის კვალია.

2. H-1411 კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული და საწერი მასალის სრქუტურული აღწერილობა:

თარიღი - XIV- XV ს.ს.;

კეფის რაოდენობა - 1 კეფი;

კეფის ზომა - 58x17,5;

სტრიქონთა რაოდენობა - r-76, v-74;

ნაწერის ზომა - 54,5x13;

არშიების ზომა - ზედა 2,2, ქვედა 1,5, მარცხენა 2,7სმ; მარჯვენა 2სმ; (არათანაბარი, დაზიანებული);

მასალა - ეტრატი;

ძეგლის მდგომარეობა - თავნაკლული;

ფერი - მოყვითალო;

სისქე - 003 მმ;

რედაქციულობა (თუ შესაძლებელია)

ეტრატის ორივე კიდე ნაკლული და დაზიანებულია, კეფის მარჯვენა კიდე დაზიანებულია ენტომოლოგიურად. დაზიანებულ ადგილებზე ეტრატი მომჩვარულია. დაზიანებულ ადგილებზე ეტრატი ზოგან ჩაკეცილია. ეტრატის ზედაპირი გაცვეთილი და დაზარებულია. ეტრატზე ცხიმისა და იისფერი მელნის ლაქებია. კეფის დასაწყისში ყავისფერი ლაქებია. კეფის ორივე მხარეს ტექსტი შესრულებულია ღია ყავისფერი მელნით. საზედაო ასოები კი ნაწერია სინგურით. v-ს დიდ ნაწილზე ტექსტის მელანი გადარეცხილი და გადაცრეცილია. ტექსტი არ იკითხება. იკითხება ცალკეული სიტყვები.

კეფის ბოლო ძაფით უხეშად მიკერებულია კარგად დამუშავებულ ხის ჯოხზე. ჯოხის გამოთლილი თავები დაზიანებულია, მარცხენა მხარე მთლიანად დაკარგულია, მარჯვენა შემორჩენილია დაზიანებული.

ტექსტები

H 2064

1r/ ად სულოსა მადლისა შენისასა ჩუენ

ზედა და წინამდებარეთა ამათ ძლუნთა ზედა

დიაკონმან: შ...

დღე ყოველი სრულიად სიწი...

ანგელოზი მშვიდობისა...

შენდობა^ა და მოტევება^ა

კეთილნი უმჯობესნი

ქრისტიანობითნი ყ...

ყოვლადწმიდისა უხრწნელი

წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა

ჩუენისა იოვანე ოქროპირისა და ყოველთა

წმიდათა მომწსენებელ

მ...

მოწყალებათათ^ას მხოლოს... შ...ისა

ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხ...

წმიდით სახიერით და ცხოველს...

მღვდელმან: მშ^ადობა^ა ყოველთა

და სულისა ც...

დიაკონმან: ვიყუარებდეთ უ...

გურწამსი.

დიაკონმან: ვდგეთ კეთილად ... შიშით

მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირავსა. [მ]შ

დობით შეწირვადსა.

წყალობა, მშვიდობა.

მღდელმან: მადლი უფლისა ჩუენისა

იესუს ქრისტესი, სიყუარული ღმრთისა

მამისა და ზიარება სულისა წმიდისა

იყავნ თქუენ ყოველთა თანა და სულისაცა,

მღდელმან: ზე გულები ვმადლობდეთ

უფალსა!

დიაკონმან: გუაქუს უფლისა მიმართ, ღირს

არს და მართალ.

მღდელმან ლოცვა ღირსად ქებისათ.

ღირს არს და მართალ შენდა ქებად,

შენდა კურთხევად, შენდა გალობად, შენდა

მადლობად, შენდა თაყუანისცემად ყოველსა

ადგილსა მეუფებისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ

ღმერთი გამოუთარგმანებელი, მოუგონებელი,

უხილავი, მიუწდომელი, მარადის ხარ ვითარცა

იგი ხარ შენ და მხოლოდშობილი ძე შენი

და ყოლადწმიდა სული შენი. შენ არაარსი

საგან არსად მომიყვანენ და დაცემულნი

კუალად აღადგინენ და არა განეყენე ყოვლი

სავე ქმნად, ვიდრემდის ზეცად აღმიყვანენ, ჩუენდა

მოგუშადლე სასუფეველი მერმისა.

ამათ ყოველთათა გმადლობთ შენ და

მხოლოდშობილსა ძესა შენსა და სულსა შენსა

წმიდასა ყოველთათა, რომელი უწყით და

რომელი არა უწყით საჩინოთა და უჩი

ნოთა ქველისმოქმედებათა, ჩუენდა მომართ

ქმნულთა. გმადლობთ შენ შეწირვისაცა, ამისთა,

რომლისა აელთაგან ჩუენთა შეწირვა ღირ-

იჩინე, დაღათუ გარე-მოგადგან შენ ათასეულ

ნი მთავარანგელოზნი და ბევრეულნი ანგელოზ

ნი, ქეროვიმნი და სერაფიმი, ექუს

-ექუს ფრთენი მრავალთუალნი, აპყრობილნი

ფრთებითა.

ამაღლება

ძლევისა გალობასა მგალობელნი, მამობელნი,

მღალღებელნი და მეტყუელნი:

ერმან: წმიდა არს. წმიდა არს, წმიდა არს უფალი სა

ბაო სავსე არიან ცანი და ქუეყანა

დიდებითა მისითა.

მღდელმან ლოცვა

შემდგომად:¹ ამათ სანატრელთა ძალთა ჩუენცა, მეუფეო
 კაცთმოყუარეო, ვამოთ და ვიტყათ: წმიდაა
 ხარ და ყოვლადწმიდა შენ და მხოლოდშობილი
 ძე შენი და სული შენი წმიდაა, წმიდა ხარ და
 ყოვლადწმიდაა და დიდადშუენიერ დიდებაა შენი,
 რომელმან სოფელი შენი ესრეთ შეიყუარე, ვიდრე
 მიცემადმდე მხოლოდშობილისა მისა შენისა და
 სულისა შენისა წმიდისა, რაათა ყოველსა, რომელსა
 ჰრწმენეს მისი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს
 ცხორებაა საუკუნოა, რომელი-იგი მოვიდა რაა,
 ჩუენტა, ყოველივე განგებულებაა სრულ-ყო
 ღამესა მას, რომელსა მიეცემოდა, უფროადა (!)
 მისცემდა თავსა თასსა ცხორებისათა სოფლისა,
 მოიღო პური წმიდითა და უხრწნელითა და
 უბიწოთა აელითა, ჰმადლობდა, აკურთხა,
 წმიდა-ყო, განტეხა და მისცა წმიდათა მისთა
 მოწაფეთა და მოციქულთა, მეტყუელმან და ჰრქუა:
 მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ორცი ჩემი,
 თქუენტა განტეხილი მისატევებელად ცოდვათა.
 ამინ!

1v/ბარძიმსა ჯუარი

სუთ ამისგანი ყოველთა ესე არს
 სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისათა
 თქუენტა დათხეული მრავალთათა
 მისატევებელად ცოდვათა. ამინ.

მღვდელმან ლოცვაა.

მომწიგებელნი უკუა საცხორებელსა ამის
 მცნებისანი და ყოველთა მათ ჩუენტა
 ქმნულთა ჯუარისა დაფლვისა სამ დღე,
 აღდგომისა ზეცად აღსვლისა მარჯუენით
 ჯდომისა მეორისა და დიდებულისა კუალად
 მოსლვისანი.

მღვდელმან: შენთან შენთაგანი შენდა
 შემწირველნი ყოვლისათა და ყოველთა.
 შენ გიგალობთ.

მღვდელმან ლოცვაა: მერმეცა შევსწირავთ
 შენდა სიტყაერსა ამას და უსუსხლოსა
 მსხუერპლისა გხადით, შეგივრდებით და გევედ
 რებით, გარდამოავლინე სული შენი წმიდაა
 ჩუენ ზედა და წინამდებარეთა ამათ ძლუნთა ზედა
 მღვდელმან: ფეშხუებსა ჯუარი დასწეროს და თქუას:
 და ყავნ უკუა პური ესე პატიოსან
 ორც ქრისტეს შენისა.
 ბარძიმსა ჯუარი დასწეროს,
 ხოლო სასმელი ესე პატიოსან სისხლ

¹ მარცხენა კიდეზე: შდ, შ სინგურიტაა (შემდგომად), ტექსტში არ ჯდება, ალბათ, შემდგომად სათაგელია.

ქრისტეს შენი.

ორსავე ჯუარი დასწეროს.

შესცვალე სულითა შენითა წმიდითა.

მღდელმან ლოცვა: რაათა ექმნას

მიმღებელთა განსაფრთხოვლად სულისა, მისატევე

ბელად ცოდვათა, შესანდობელად ბრალთა, სულისა

წმიდისა ზიარებად, სასუფეველსა ცათასა დამკად

რებად, ნუ სასჯელად გინა დასასჯელად.

მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყაერსა ამას

მსხუერპლსა სარწმუნოებით განსუენებულთათა

პირველთა მამამთვართა, წინასწარმეტყუელთა, მოცი

ქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, მოწამეთა,

აღმსარებელთა, მმარხველთა და ყოვლისა სულისა

სარწმუნოებით აღსრულებულთა.

დიაკონმან საკუმეველი ასხას.

მღდელმან: უმეტესად ყოვლადწმიდისა უხრწნე

ლისა უფროსად (!) კურთხეულისა დედოფ

ლისა ჩუენისა ღმრთისმშობელსა მარადის

ქალწულისა მარიამისთა.

ჰე ყოვლადსაგალობელო!

წმიდისა იოვანე წინასწარმეტყუელისა, წინა

მორბედისა და ნათლისმცემელისათა.

წმიდაა იოვანე ოქრიპირი

წმიდაა ბასილი

წმიდაა გრიგოლი

წმიდაა დიმიტრი

წმიდაა გიორგი

წმიდაა თეოდორე

წმიდაა ათანასი

წმიდაა იაკობ

წმიდისა სახელით, რომლისა დღეს ოსენებასა

აღვასრულებთ, და ყოველთა წმიდათა შენთა ვედ

რებითა მომხედენ ჩუენ, ღმერთო, და მოიწსენენ

ყოველნი დამინებულნი, სასოებითა

აღდგომისათა და ცხორებისა საუკუნოათა

და განუსუენე მათ, სადა-იგი მიხედავს

ნათელი პირისა შენისა.

მერმეცა გევედრებით შენ, მოიწსენე,

უფალო, ყოველი საეზისკოპოსოათა

მა...ლ მადიდებელ...ბითა ... ო... ..დ

უათა ბ... დე ... ქრისტეს მიერ

დ... .. და ყოვლისა სამ... სა და

სული ...

მერმეცა შევსც... შენდა სიტყ...

ერსა ამ... ურ...

...ულის დია...ნისა...

...ოსა კუალად ... ბრ...

...

...

ჩემისა ... ქრისტეს მოყ...

... და ... სა

მინაწერები:

1. წლინად (!) შვილისა იაკობს, შეიწყალენ ღმერთმან, ამინ! და მისა მე...ლესა მ...რინეს, შეიწყალენ ღმერთმან, და მისა შვილსა, ელისეს, შეიწყალენ, და მისა მეუღლესა მზექალას, შეიწყალენ ღმერთმან, და მისა შვილსა მანველსა, შეიწყალენ ღმერთმან; მისა მეუღლესა, შეიწყალენ [შეუნდვენ] ღმერთმან; ღუინას, შვილსა ვეფხასა, შეიწყალენ ღმერთმან და მისა მეუღლესა მარინეს, შეიწყალენ ღმერთმან; ღუნას, შვილსა, მამაა, შეიწყალენ ღმერთმან, და მისა მეუღლესა ბარბარეს, შეიწყალენ ღმერთმან; და მურვანეთსა ღ...ანასა, შეიწყალენ და მისა მეუღლესა მზექალას, შეიწყალენ ღმერთმან; ცოდვანი და ბრალნი მათნი განუსნოს და შეუნდნეს ღმერთმან. ამინ, კირიელეისონ, კირიელეისონ. და ვინცა მო...ოხსებოდეს (!) მასცა შეუნდვენ ღმერთმან, არიან; სასუფეველსა (!) მისსა. ამინ. [მარცხენა კიდეზე გვიანდელი ნუსხურით] 1r;
2. წმიდამან ...ბს და მისა მეუღლესა გიორგის შენ ღმერთმან, ამინ. კირიელესო. თევდორ[ე], ელისაბედს შეიწყალენ ღმერთმან და მისა შვილსა გიორგის და იოვანეს, შეიწყალენ ღმერთმან, ამინ. კირიელესო. [მარცხენა კიდეზე ზედა ნაწილში] 1r
3. თეოდორესა ... დაწერა ღმერთმან სულსა მისა (!) ძმასა ელისაშვილი დაწერა. უ... მისასა მეუღლესა სა...დისასა ...ეუდა დღესა, ღამესა ... სულსა მათსა ქ... სა ... მასულულ ... ათანსასა ღამ...[მარჯვენა კიდეზე მხედრულთ] 1r

H-1411

1r / კართა საკურთხეველისათა მიდგეს მღვდელთ საკმეველი აკმიოს და თქუას: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩუენ. მეუფეო ცათაო, სიბრძნისა წინამძღვარო, მეცნიერებისა მომნიჭებელო უგულისკმოთა მასწავლებელო და გლახაკთა კელისმპყრობელო, განამტკიცე და გულისკმიერ-ყავ გული ჩემი, მეუფეო, შენ მომეც მე, სიტყვაო მამისაო.

აჰა, ბაგენი ჩემნი არა დავდუმენ ჯმოზად შენდამი, მოწყალო, მოწყალე მექმენ შევრდომილისა შენდაი (!).

სიწმიდენი დადგას წმიდასა ტრაპეზსა (ა) და დაბურნეს ცა.

მღვდელმან თქუა: უფალო, ღმერთო ჩემო, გარდმოვივლინე მე ძალი მაღლით და განმადლიერე მსახურებასა ამას შენსა დაუსჯელად წარდგომად წინაშე დიდებულისა, წმიდისა და შესაძრწუნებულისა(ა) საკურთხეველსა სენსა შეწირვად შენდა უსისხლო იგი მსხვერპლი, რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდებაი მამისაი.

[დაი]ბანის კელნი და თქუას: განადიდეთ უფალი [ცა]თა და აღვამაღლოთ სახელი მისი ზოგად.

და მათ მიუგონ: სული წმიდაი მოვიდინ შენ ზედა, ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ.

მომიკსენე, მეუფეო, და ჩუენცა მიოგიკსენეს (!) თქუენცა უფალმან ღმერთმან სასუფეველსა მისა. ყოვლადვე აწ დაი (!)² მარადის.

დიაკონმან“ აღუსრულოთ ვედრებაი ჩუენი უფალსა უფალსა.

წინადაგებულთა მღვენტა უფალსა ღმერთსა ჩუენსა ეკედრნეთ: წმიდისა ამის კსნად ჩუენდა და ყოველთათჳს.

² დ-მეტობა

მდღელმან ლოცვა: უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მხოლოო წმიდაო, რომელი შეიწირავ მსხვერპლსაჲ (!) ქებისასაჲ მათგან, რომელნი გხადიან შენ ყოვლითა გულითა. მითვალე ვედრებაჲ ჩუენ ცოდვილნი და შეიწირე წმიდასა შენსა საკურთხეველსაჲ (!) და ჯმა-მყვენ ჩუენ შეწირვად შენდაჲ (!) ძღვენთა და მსხვერპლთა სულიერთა ჩუენ ცოდვათათჳს და ერისა უმეცრებათათჳს და ღირს-მყვენ ჩუენ პოვნად მადლსა წინაშე შენსა კეთილთა მიმთხველყოფად (!) შენდაჲ. მსხვერპლი ჩუენი დამკვიდრებად სცა მადლისაჲ შენისა სახიერსა ჩუენ ზედა და წინამდებარეთა ამათ ძღვენთა ზედა და ყოველსა ერსაჲ (!) შენსაჲ (!) ზედა

დიაკონმან: დღე ყოველი სრულიად სიწმიდით მშვიდობით უცოდველად უფლისა მიმართ ვითხოვთ³.

ერმან: მოგვმადლენ, უფალო, ანგელოზი მშვიდობისაჲ სარწმუნო წინამძღვარ მცველი სულთა და ჯორცთა ჩუენთა უფლისა მიმართ ვილ[ოცოთ].

შენდობაჲ და მოტევებაჲ ცოდვათა და უსჯულოებათაჲ. კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩუენთანი უფლისაჲ.

შემდგომნი ჟამნი ცხორებისა ჩუენისანი მშვიდობით, სიმრთელით აღსრულებად უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ქრისტეანობით აღსასრულნი ცხორებისა ჩუენისანი ირველნი ურცხვენელნი, კეთილი სიტყვსგებაჲ საშინელსა საყდარსა ქრისტესა ვითხოვთ უფლისა მიმართ ყოვლადწმიდისა უხრწ.

წმიდათა და ღმერთშემოსილისაჲ მამისაჲ ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ და ყოველსა წმიდათა მომკსენებელთა თავნი თ~ს ურთიერთას და ყოველი ცხრ.

ერმან: შენ, უფალო.

მდღელმან: ამაღლებაჲ. მოწყალებისათჳს მხოლოდშობილისა ძისაჲ (!) შენისათა, რომლისა თანა [კ]ურთხეულ ხარ სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ.

ერმან: ამინ

მდღელმან: მშვიდ[ობაჲ] ყოველთა!

ერმან: და სულისაჲცა შენისათა. ვიყვარებდეთ ურთიერთარს.

დიაკონმან: კარნი, კარნი მოხედეთ.

გუაქუს მრწამსი.

დიაკონმან: ვდგეთ კეთილად, ვდგეთ შიშითა, მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირავსა (!) წყალობაჲ, მშვიდობაჲ - შესაწირავი ქებისაჲ.

მდღელმან: მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და სიყუარული პირველისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა იყვენ თქუენ ყოველთა

ერმან: და სულისაჲცა შენისა წმიდისა. ვნ

მდღელმან: ზე გვაქვნდეს გალობი.

დიაკონმან: გვაქუს უფლისა მიმართ

მდღელმან: მადლობდეთ უფალსა

ერმან: ღირს არს და მართალ

მდღელმან ლოცვა:

ღირს არს და მართალ შენდა ქებად, შენდა კურთხევად, შენდაჲ (!) მადლობად, შენდაჲ (!) თაყუანისცემად ყოვლისაჲ ადგილსა მეუფეებისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი, მოუგონებელი, უხილავი, მიუწდომელი. მარადის ხარ, ვითარცა - იგი ხარ შენ და მხოლოდშობილი ძე შენი, უფალი ჩუენ ქრისტე და წმიდაჲ შენი სული შენ არაარსისაგან არსად მომიყვანენ ჩუენ და დაცემულნი კუალად აღმადგინენ და არა განეყენენ ყოველსავე ქმნად, ვიდრემდის

³ ვითხოვთ

1v /ზეცად აღმიყვანეს ჩუენ ვემულნი კულად აღმადგინენ ჩუენ და არა განეყენენ ყოვლისავე ქმნად ვიდრემდის აღმიყვანენ ჩუენ და მოგმადლე ჩუენ სასუფეველი მერმესა ამას ყოველთათუ გმადლობ შენ და მხოლოდმოზილსა ძესა შენსა და სულსა შენსა წმიდასა ყოველთათუ, რომელ უწყით და რომელ არა უწყით საჩინოთა და უჩინოთაჲ ქველისმოქმედებათა, ჩუენდა მომართ ქმნულთა. გმადლობ შენ შესაწირავსაცა ამისთუ, რომელსა შენ შეწირვად ჯერ-იჩინე მ შენ გარე-მოგადგენ ათასეულნი ან და ბევრეულნი ანგელოზთანი ქეროზვიმნი (!) და სერაზინ[ნი] ექვს-ექვს ქე თუალნი, ყროზილნი ფრთებითა.

მღდელმან: ა

[ორი სტრიქონი არ იკითხება]

... ..

წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს მღდელმან ლოცვაჲ.

შემდგომად

გამოყენებული ლიტერატურა

- გაბიძაშვილი, ე. (2011). *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ბიბლიოგრაფია*. ტ. 5. ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია. თბილისი.
- თავაძე, შ., & მეგენიშვილი, ნ. (2023). *ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მნიშვნელობისათვის, ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა*.
- თავაძე, შ., & მეგენიშვილი, ნ. (2022). ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერი გრაგნილების ინტერდისციპლინური თავისებურებები. *სამეცნიერო ჟურნალი Scientia*. 3, გვ. 372-386, მოძიებულია ვებგვერდიდან: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/493701/1/Scientia_2022_N3.pdf
- კეკელიძე, კ. (1960). *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. თბილისი.
- ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან. (2016). ლიტურგიკის ნაწილი შეადგინა ლ. ხევსურიანმა. ტ. III. თბილისი.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია. (1948). ტ. III. თბილისი.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია. (1949). ტ. V. თბილისი.
- სულავა, ნ. (2024). *IV-X საუკუნეების ქართული ლიტერატურა*. თბილისი.
- H-1411 - ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნინო მეგენიშვილმა, არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და მასალის სტრუქტურული კვლევა შეასრულა შორენა თავაძემ.
- H-2064 - ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნინო მეგენიშვილმა, არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და მასალის სტრუქტურული კვლევა შეასრულა შორენა თავაძემ.

REFERENCES

- gabidzashvili, e. (2011). *dzveli kartuli mts'erlobis natargmni dzegebi: bibliograpia [Translated Monuments of Old Georgian Literature: Bibliography]*. Vol. 5. Liturgics, Hymnography. Tbilisi.
- tavadze, sh., & megeneishvili, n. (2023). *pragment'uli khelnats'erebis k'vlevis mnishvnelobisatvis, et'rat'ze shesrulebuli pragment'uli khelnats'erebis k'odik'ologiuri analizi da masalis*

- st'rukt'uruli k'vleva [On the Importance of Studying Fragmentary Manuscripts: Codicological Analysis and Structural Research of Manuscripts on Parchment]*.
- tavadze, sh., & megeneishvili, n. (2022). et'rat'ze shesrulebuli pragment'uli khelnats'eri gragnilebis int'erdistip'linuri taviseburebebi [Interdisciplinary Features of Fragmentary Manuscript Scrolls on Parchment]. *sametsniero zhurnali Scientia [Scientific Journal Scientia]*. 3, pp. 372-386, Retrieved from https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/493701/1/Scientia_2022_N3.pdf
- k'ek'elidze, k'. (1960). *kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Georgian Literature]*. Vol. I. Tbilisi.
- nark'vevebi dzveli kartuli sasuliero mts'erlobis ist'oriidan [Essays from the History of Old Georgian Ecclesiastical Literature]. (2016). Liturgics Section compiled by L. Khevsuriani. Vol. III. Tbilisi.
- sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis kartul khelnats'erta aghts'eriloba (H) k'oleksia [Description of Georgian Manuscripts of the Georgian State Museum (H Collection)]. (1948). Vol. III. Tbilisi.
- sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis kartul khelnats'erta aghts'eriloba (H) k'oleksia [Description of Georgian Manuscripts of the Georgian State Museum (H Collection)]. (1949). Vol. V. Tbilisi.
- sulava, n. (2024). *IV-X sauk'uneebis kartuli lit'erat'ura [Georgian literature of the 4th-10th centuries]*. Tbilisi.
- H-1411 - Text prepared for publication by Nino Megeneshvili, archaeographic-codicological and structural material research conducted by Shorena Tavadze.
- H-2064 - Text prepared for publication by Nino Megeneshvili, archaeographic-codicological and structural material research conducted by Shorena Tavadze.